ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5026570

ნომერი: AR1755240

თარიღი : 29.06.2020

გაცემის თარიღი : 15.07.2020

გაცნობის თარიღი : 15.07.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შავიშვილი , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატალია ქუთათელაძე პ/ნ 01013021274
- თბილისი ვარკეთილი 3 III"ა" მ/რ კორ. 335 ბ. 108

ორგანიზაცია:

- ტ-ენერგია კოდი: 204856236

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის №4939841 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 29 ივნისს №AR1755240 განცხადებით მომართა ნატალია ქუთათელაძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის №4939841 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის №4939841 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა შავიშვილი, №1-ში, №01.14.04.029.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2020 წლის 9 ივნისის №4977309 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 9 ივნისიდან 2023 წლის 9 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის №4939841 ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ საცხოვრებელ ფართობად 5005.3 კვ.მ-ის ნაცვლად 5006.4 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1945.3 კვ.მ-ის ნაცვლად 1942.9 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2221.1 კვ.მ-ის ნაცვლად 2155.7 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 110.9 კვ.მ-ის ნაცვლად 124.4 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 13933.8 კვ.მ-ის ნაცვლად 13880.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, განმცხადებელი ითხოვს ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად 317.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა წარმოდგენილ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ 2020 წლის 28 აპრილის №4939841 ბრძანებაში საცხოვრებელ ფართობი უნდა იყოს 5006.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობი - 1942.9 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 2155.7 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 124.4 კვ.მ., საერთო ფართობი -13880.6 კვ.მ. ხოლო, ღია ავტოსადგომის ფართობი უნდა იყოს 317.4 კვ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №902019953773, მომზადების თარიღი: 26/12/2019 წ.) თანახმად, №01.14.04.029.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „T ენერგია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: №204856236). 2020 წლის 29 მაისის №AR1746498 განცხადებაზე წარმოდგენილია შპს „T ენერგიას“ დირექტორის - დიმიტრი ადამიას მიერ ნატალია ქუთათელაძის სახელზე გაცემული 2020 წლის 6 ივნისის მინდობილობა, რომლითაც დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის №4939841 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 5006.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1942.9 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 2155.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 124.4 კვ.მ., საერთო ფართობად - 13880.6 კვ.მ. ამასთან, ბრძანებაში ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომის ფართობი 317.4 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის №4939841 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის №4939841 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის №4939841 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.